ორგანული მიწათმოქმედების აგროეკოლოგიური პირობები საქართველოს მაღალმთიან ზონაში

მაია მელაძე
ელ. ფოსტა: maia.meladze@tsu.ge;
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ორგანული მიწათმოქმედების სისტემა ეფუძნება თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს და ხანგრძლივი დროის განმავლობაში უზრუნველყოფს მოსახლეობას ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

თანამედროვე ეტაპზე არსებობს ორგანული მიწათმოქმედების მსოფლიო პრაქტიკა. იგი ფართოდ ვითარდება შვეიცარიაში, გერმანიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, რუსეთში და სხვა. მთელ მსოფლიოში ორგანული მიწათმოქმედების ზრდის დინამიკა გამოწვეულია გარემოს დაბინძურების იმ შედეგებიდან, რომლებიც ასახვას პოულობენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფლორასა და ფაუნაზე, კულტურულ-ისტორიულ ობიექტებზე და ა.შ.

სითბოსა და ტენის უზრუნველყოფის მაჩვენებლების მიხედვით გამოყოფილია ორი აგროეკოლოგიური ზონა.

პირველი ზონა ვრცელდება ზღვის დონიდან 1400-2000 მ სიმაღლემდე. ტემპერატურათა ჯამი (10°C-ის ზევით) შეადგენს 2000-1200°C. მოცემული ზონის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ მაღალი და ეკოლოგიურად სუფთა მოსავალი.

მეორე ზონა ვრცელდება ზღვის დონიდან 2000-2400 მ სიმაღლემდე. ტემპერატურათა ჯამი (10°C-ის ზევით) შეადგენს 1200-700°C. მიუხედავად ტემპერატურათა ჯამის სიმცირისა, აგროკულტურები - ქერი, სუფრის ჭარხალი, უცხო სუნელი აღწევენ ზრდა-განვითარების გარკვეულ ციკლს. ასევე, შეიძლება ნორმალურ ზრდა-განვითარებას მიაღწიოს სხვადასხვა სახეობის ბოსტნეულმა კულტურებმა. ცალკეულ წლებში, თუ ტემპერატურათა ჯამი 1000°C-ზე ნაკლებია ქინძის, უცხო სუნელის, ცერეცოს, ქონდარის და სხვ. თესლები სრულ სიმწიფეს ვერ აღწევს.

დასავლეთ კავკასიონის მაღალმთიანი მთისწინების ზონაში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა შეადგენს 600-1000 მმ, აღმოსავლეთ კავკასიონის - 400-1000 მმ, სამხრეთ საქართველოს მესხეთ-ჯავახეთის და თრიალეთის ზონებში - 400-600 მმ, ხოლო აჭარა, გურიის - 600-800 მმ. მოცემულ ზონებში ნალექების რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში დამაკმაყოფილებელია აგროკულტურათა გავრცელებისათვის.